ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01/02-05-31

თბილისი 2015 წლის 10 თებერვალი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მელიტონ ბენიძის სახით და მეორეს მხრივ, სს „გუდვილი", (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ნუგზარ გაბრიჭიძის სახით გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველმა მოლაპარაკების საფუძველზე, მიმწოდებლისგან მიიღო წინადადება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს მიაწოდოს დანართი №1-ში მითითებული პროდუქტები (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის პირსახოცი) (CVP 33700000), საერთო თანხით 727.70 (შვიდასოცდაშვიდი ლარი 70 თეთრი) ლარი (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება").

1.2 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით.

1.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.

1.5 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, არა უმეტეს 2015 წლის 31 მარტისა.

1.6 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 შემსყიდველი:

ა) უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, კეთილსინდისიერი და დროული შესრულება.

ბ) მოვალეა, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ოდენობით გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის საზღაური.

2.2 მიმწოდებელი:

ა) მოვალეა, მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1 მუხლში მითითებული საქონელი.

ბ) უფლებამოსილია, მიიღოს მიწოდებული საქონლის საზღაური ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ოდენობით;

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველ ორგანიზაციაში გამოყოფილ ინსპექტირების ჯგუფს უფლება აქვს განახორციელოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შესყიდვის ობიექტი და ვადები.

4.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – იურიდიული დახმარების სამსახურს მიაწოდოს ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული საქონელი.

4.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდება მოახდინოს მხარეთა მიერ ხელშეკრულების ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ, 2015 წლის 13 თებერვლამდე.

შემსყიდველი *მიმწოდებელი*

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიღება-ჩაბარება მოხდება ერთჯერადად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

6.2 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ

6.3 საქონლის მიღებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია დავით ქურდაძე (პ/ნ 01011023993).

7. ხელშკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება.

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული საქონელი, საერთო თანხით 727.70 (შვიდასოცდაშვიდი ლარი 70 თეთრი) ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ლარი.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მხარეთა მიერ ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების ელექტრონული დამოწმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ყოველგვარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების შემთხვევაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ერთმანეთის წინაშე ყოველი დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0,2 %-ს ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება მთლიანად ან ნაწილობრივ;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გადახდისუუნაროდ გამოცხადების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის რეკვიზიტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ე) თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს.

_____ _____

შემსყიდველი *მიმწოდებელი*

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური თბილისი, რუსთაველის გამზ №30 ს/კ 204534058 ტელ: 92 00 55	სს „გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი №1 ს/კ № 206343991
სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222 ა/ა № 200122900	ს/ს „თი-ბი-სი ბანკი" მარჯანიშვ. ფილიალი ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა № GE61TB3615336020100004
მელიტონ ბენიძე სამსახურის დირექტორი	ნუგზარ გაბრიჭიძე დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი

ბანაწილი №1

წინასწარი ინვოისი №

10/02/2015

გამყიდველი:	სს "გუდვილი" ჰიპერმარკეტი გუდვილი დიღომი	**მყიდველი:**	სსიპ "იურიდიული დახმარების სამსახური"
საიდ. კოდი:	206343991	**საიდ. კოდი:**	204534058
მისამართი:	თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ No1	**მისამართი:**	
ბანკი:	სს "თიბისი ბანკი"	**ბანკი:**	
საბანკო კოდი:	TBCBGE22	**საბანკო კოდი:**	
ანგარიშის №	GE61TB3615336020100004	**ანგარიშის №**	

№	შტრიხკოდი	საქონლის დასახელება	განზომ.	ფასი (ლ.)	ფ.დ.%	რაოდ ენობა	თანხა
1	4311501436073	ELKOS-თხევადი საპონი	ცალი	3.58		10.000	35.80
2	4311501436097	ELKOS-საპონი თაფლითა და რძით	ცალი	3.58		20.000	71.60
3	4311501436080	G & G- თხევადი საპონი თაფლით და რძით	ცალი	4.38		30.000	131.40
4	8690530204775	Solo - ტუალეტის ქაღალდი 24 ცალი 2 ფენა	ცალი	17.95		6.000	107.70
5	8690530324763	Solo - ტუალეტის ქაღალდი 32 ცალი 2 ფენა	ცალი	19.95		7.000	139.65
6	4860102220302	orei delux-ტუალეტის ქაღალდი 3ფენა 32ც შეფუთული	ცალი	24.95		6.000	149.70
7	8690530255067	Solo- პირსახოცი 6 ცალი 2 ფენა	ცალი	8.35		11.000	91.85
							727.70

შენიშვნა

სულ გადმოსარიცხი თანხა: 727.70 შვიდას ოცდაშვიდი ლარი და 70 თეთრი

ინვოისი ძალაშია: **დღის განმავლობაში**

გამყიდველი:
სს "გუდვილი" ჰიპერმარკეტი გუდვილი დიღომი

მყიდველი:
სსიპ "იურიდიული დახმარების სამსახური"